

საკორპორაციო სამართალი საქართველოში

ქეთევან ბეთანელი*
მანიკ ს. მასბაუმი**

ა. შესავალი

საქართველოში გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პროცესი მიმდინარეობს. ამ პერიოდს უფრო ართულებს მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომელიც გამოწვეულია ტრადიციული ბაზრების მოშლით, სამოქალაქო ომითა და მნიშვნელოვან ტერიტორიებზე, როგორცაა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, კონტროლის დაკარგვით. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ საქართველო ნელ-ნელა შედის სტაბილიზაციისა და განახლების ფაზაში. საკანონმდებლო საქმიანობაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, საქართველოში ბიზნესი კვლავაც რთულ საინვესტიციო პირობებში იმყოფება, ვინაიდან პოლიტიკური და საბიუჯეტო ბარიერების გამო მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმები ჯერ არ განხორციელებულა.

საქართველოში სამენარმეო სამართლის რეფორმა დაიწყო 1991 წელს სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის მიღებით, რომელმაც ბოლო მოუღო სამენარმეო საქმიანობაში სოციალისტური სამართლისათვის დამახასიათებელ შეზღუდვებს და მენარმეთათვის საქმიანობის დამოუკიდებლად ორგანიზების ძირითადი პრინციპები დაამკვიდრა. აღნიშნულ კანონს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა პრაქტიკაში გამოყენების მხრივ, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესის დაწყების თვალსაზრისით მეტად დიდი ღირებულებისა იყო. იგი 1994 წელს შეცვალა საქართველოს კანონმა მენარმეთა შესახებ, რომელმაც შემდეგ მრავალი ცვლილება განიცადა, მაგრამ კვლავ ინარჩუნებს მენარმეთა საბაზრო ურთიერთობებისათვის აუცილებელი ზოგადი ნესების მოკლე კოდიფიკაციის საწყის ორიგინალობას. ეს საკმაოდ მცირე ზომის კანონი მოიცავს სამოცდაათამდე მუხლს და იძლევა ამომწურავი ნესების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს სამენარმეო საქმიანობას და ცდილობს, კანონის გამოყენება რაც შეიძლება მარტივი გახადოს. გარდა ამისა, სამენარმეო სამართლის ძირითადი დებულებები შესულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

შეიძლება ითქვას, დღეს საქართველოს სამენარმეო საკანონმდებლო ბაზა მნიშვნელოვნად კარგად არის განვითარებული, რამაც დაგვანახვა, რომ საბჭოთა კავშირისა და მისი სამართლებრივი სისტემის დაშლის განმაპირობებელი მოვლენების ფონზე საქართველოში პოლიტიკის შემმუშავებელი პირები ეცადნენ თანამედროვე დასავლურ სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობის მაქსიმალურად მიღწევას და დსთ-ის ნევრი ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით დრო და სახსრები არ დაკარგეს ტრადიციული მარეგულირებელი ნორმების მაქსიმალურად შენარჩუნებისათვის. ასეთი მიზნის დასახვამ ხელი შეუწყო სამოქალაქო და, კერძოდ, სამენარმეო კანონმდებლობათა განვითარებას, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განიცდიან კონტინენტური ევროპის, განსაკუთრებით გერმანული სამართლის, თეორიათა გავლენას. ამ თვალსაზრისით ბევრი პარალელი შეინიშნება და მიზანშეწონილი იქნებოდა კანონის დებულებების განხილვა ევროპულ-გერმანული სამართლის ქრილში, რაც შესაძლებელს ხდის გამოცდილების გაზიარებას და ამცირებს სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი თეორიის მიერ კანონის ინტერპრეტირების ხარჯებს.

* „ჯეპლაკის“ სტაჟიორი.

** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, „ჯეპლაკის“ უფროსი მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში.

სტატია 20

ახლა, როდესაც კანონის მიღებიდან თითქმის ათი წელია გასული, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი ახალ ფაზაში შედის. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელდეს და სწორედ ეს გახდა მიზეზი კანონის მოკლე ანალიტიკური მიმოხილვისა ევროპულ და საერთაშორისო სამენარმეო ნორმებთან შედარების საფუძველზე. რა თქმა უნდა, აქ განხილული ასპექტები არანაირად არ შეიძლება ამომწურავად მივიჩნიოთ, პირიქით, ისინი შერჩეულნი არიან ეროვნული პროგრამის მოსალოდნელი განხორციელების ჩარჩოებში პოლიტიკური დებატების წამოწყებისათვის.

ამ მიზნებისათვის, სადაც ეს მიზანშეწონილი იქნება, მოვიშველიებთ ევროპული კავშირის სამენარმეო სამართლის მარეგულირებელ დირექტივებს მოკლე და საშუალო ვადიანი მიზნების მისაღწევად. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპულ კავშირში სამენარმეო სამართალი მხოლოდ გარკვეულ დონეზეა ჰარმონიზებული. მისი უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ წვერი სახელმწიფოების ექსკლუზიურ კომპეტენციაში ექცევა.

ამასთანავე, სტატიაში წარმოდგენილი მითითებები საერთაშორისო სტანდარტებზე, ძირითადად, ეყრდნობა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დადგენილ სამენარმეო სამართლის ზოგად პრინციპებს, რომლებიც 1999 წელს გამოაქვეყნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ჩამოყალიბებულმა სამუშაო ჯგუფმა. ჯგუფში შედიოდნენ საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამენარმეო სამართლის ექსპერტები, რომელთა მიზანი იყო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამენარმეო სამართლის კანონმდებლებისათვის კონსულტაციების გაწევა და სამართლის ამ დარგის განვითარების გზების შეთავაზება. წინამდებარე სტატიის პირველი ნაწილი სამენარმეო სამართლის ზოგად ასპექტებს ეძღვნება; მეორე ნაწილში განხილულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებათა კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

ბ. ზოგადი დებულებანი

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი აშკარად ცდილობს, ამომწურავად მოანესრიგოს ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპზე და ამ გზით გახადოს კანონი ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი. იგი აერთიანებს სამართლის ნორმებს, რომლებიც გერმანიაში მოწესრიგებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, როგორცაა: სავაჭრო კოდექსი, კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ და კანონი სააქციო საზოგადოებების შესახებ. ბოლო ორი კანონის დებულებები გერმანიაშიც თავდაპირველად სავაჭრო კოდექსის ნაწილს შეადგენდა, მაგრამ ყველა ნორმის ერთ კოდექსში გაერთიანების სურვილი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პროცესში თანდათან გაქრა. აშკარაა, რომ მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული წესები დაახლოებულია გერმანულ დებულებებთან; თუმცა გერმანული კანონის დებულებები უფრო დეტალურია, რაც განპირობებულია ქვეყანაში არსებული დახვეწილი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს მოთხოვნებით, ამავე დროს, იმით, რომ ქართველმა კანონმდებელმა არ გადმოიღო გერმანული სამართლის ზოგიერთი არაპრაქტიკული მემკვიდრეობა.

კანონის სტრუქტურა შედგება ზოგადი ნაწილისაგან, რომელიც მოიცავს საერთო წესებს ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის და ანესრიგებს მათ დაფუძნებას, პასუხისმგებლობას, რეგისტრაციას, ხელმძღვანელობას, წარმომადგენლობასა და სხვ.; და კერძო ნაწილისაგან, რომელიც ითვალისწინებს წესებს საზოგადოებათა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ სახით მოიქმნება ევროპულ იურისდიქციებშიც, როგორცაა: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი ვრცელდება ყველა სამენარმეო საქმიანობაზე, რომელიც მართლზომიერია, არაერთჯერადია, ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულიად. კანონის მოქმედების სფეროში არ ექცევიან თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები, ანუ მეცნიერები, ექიმები, ხელოვანნი, არქიტექტორები, კონსულტანტები (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტები) და აუდიტორები. ეს ის პროფესიებია, რომლებიც ისტორიულად ევროპის მრავალ ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები კონტროლის პირობებში ვითარდებოდა, რომელთა წარმომადგენლებსაც განათლების მაღალი დონე ახასიათებთ და რომელთაც დიდი პირადი შრომითი წვლილი მიუძღვით. პირებს, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობას, შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ ისინი გატარდებიან სამენარმეო რეესტრში; ხოლო ამავე საქმიანობით დაკავებული პირები, რომელთაც დასაქმებული ჰყავთ ოჯახის არანევრი ხუთი პირი მაინც, ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ კანონის დებულებები ინდივიდუალურ საწარმოზე გავრცელდეს, მას უნდა ჰქონდეს მრავალჯერადი საქმიანობისთვის შექმნილი ორგანიზაცია და მონესრიგებული საკასო და საბუღალტრო აღიჯების სისტემა. შესაბამისად, მცირე მენარმეებზე (კანონი შეეხება მცირე საწარმოებს იმ ნაწილში, რომელიც არეგულირებს საბუღალტრო აღიჯებას), რომლებსაც არ აქვთ ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების საშუალება, შეიძლება არ გავრცელდეს კანონი, კერძოდ კი განთავისუფლდნენ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის პირობების შესრულების ვალდებულებისაგან. ამ მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება მოვიშველიოთ გერმანიის სავაჭრო კოდექსი, რომელიც, როგორც წესი, ვრცელდება გარკვეული მასშტაბის მენარმეებზე, თუმცა მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ამ შეზღუდვის პრაქტიკული შედეგები შეიძლება არ იყოს ისე შორს მიმავალი, როგორც ეს გერმანიის სავაჭრო კოდექსითაა გათვალისწინებული. მენარმეთა შესახებ კანონი არ აწესებს მენარმეებს შორის ხელშეკრულების დადების მკაცრ სტანდარტებს, რომლებიც ეფუძნება მოვაჭრეთა ჩვეულებებს და მიზნად ისახავს დროისა და ფულის დაზოგვას გამარტივებული პროცედურების საშუალებით და რომლებიც, ამავდროულად, ხშირად უფრო მკაცრია, ვიდრე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესები. ამიტომაც საქართველოში არ არსებობს საშიშროება იმისა, რომ მცირე მენარმეების მიმართ მენარმეთა შესახებ კანონის გამოყენებამ შეიძლება უსამართლო პირობებში ჩააყენოს ის ადამიანები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ ღრმა იურიდიული ცოდნა.

ამავე დროს, ამ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ყველა ინდივიდუალური მენარმე, გარდა იმ მენარმეებისა, რომლებიც ცალსახად გამოირიცხებიან, ექცევა კანონის მოქმედების სფეროში. ასეთი განმარტება სამართლებრივ სიცხადეს შეუნობდა ხელს და აღარ გახდებოდა საჭირო მსხვილ, მცირე და უფრო მცირე მენარმეთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ამასთან, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს საშუალო ვადებში ისეთი კანონის მიღება, რომელიც უფრო მკაცრ წესებს განსაზღვრავდა პასუხისმგებლობასთან, ხელშეკრულების დადებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით იმ პროფესიონალ მენარმეთათვის, რომლებიც იურიდიული თვალსაზრისით შედარებით უფრო განათლებულნი არიან. ასეთი წესები შეიძლება ადგენდეს უფრო მკაცრ სტანდარტებს, რომელთა მიზანია საქმიანი ურთიერთობების გამარტივება და არა იმათი დაცვა და სამართლიან პირობებში ჩაყენება, ვისაც სამენარმეო საქმიანობის ნაკლები ცოდნა გააჩნია; ისინი გააადვილებენ გარიგების სწრაფად და იოლად განხორციელებას და, აქედან გამომდინარე, შეამცირებენ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

იურიდიული პირის სტატუსისა და უფლებაუნარიანობის შესაძენად ინდივიდუალური მენარმეები და კომპანიები უნდა დარეგისტრირდნენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილობრივ სამენარმეო რეესტრში, რასაც ახორციელებენ პირველი ინსტანციის სასამართლოები.

რეგისტრაციისათვის საჭიროა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც შეინახება რეესტრის შესაბამის საქმეში და განახლდება განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. განცხადება რეგისტრაციის შესახებ ყველა საზოგადოებისათვის უნდა შეიცავდეს: საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ადგილსამყოფელს, საქმიანობის საგანს, მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ და ინფორმაციას ყოველი დამფუძნებელი პარტნიორისა და ინდივიდუალური მენარმის შესახებ (პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, წარმომადგენლობის უფლებამოსილება). კომანდიტურმა საზოგადოებამ დამატებით უნდა წარადგინოს ინფორმაცია ყველა კომანდიტის შესატანის ოდენობის შესახებ, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ და სააქციო საზოგადოებამ – სანესდებო კაპიტალის შესახებ, ასევე ინფორმაცია დირექტორებსა და, თუ ასეთი არსებობს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე. სავალდებულოა აგრეთვე წესდების ასლის, არამატერიალური შესატანის შეფასების დოკუმენტისა და დირექტორის და/ან, თუ ასეთი არსებობს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის დოკუმენტების წარდგენა. აღნიშნული ინფორმაცია ასევე უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (საკანონმდებლო მაცნე). პროცედურები სწრაფი და არც ისე ძვირია. სარეგისტრაციო მოსაკრებელი მერყეობს 20 ლარიდან (ინდივიდუალური მენარმისათვის) 360 ლარამდე (სააქციო საზოგადოებისათვის). სასამართლო ვალდებულია, რეგისტრაცია განხორციელოს 7 დღის ვადაში, ხოლო თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდა საზოგადოება ჩაითვლება რეგისტრირებულად.

ნათელია, რომ საქართველოს კანონი მოითხოვს მენარმებსა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი სახის ინფორმაციის გამოქვეყნებას, რაც ჩადებულია ევროპული კავშირის სამენარმეო სამართლის დირექტივებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კავშირის სამენარმეო სამართლის დირექტივებით პირველ ეტაპზე შემოღებული მინიმალური სტანდარტები მაინც უფრო ფართოა და გასათვალისწინებელია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების კონტექსტში. კერძოდ, საბჭოს 1968 წლის მარტის №68/151 პირველი დირექტივა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების „წევრების და სხვათა (აქ ძირითადად იგულისხმება საზოგადოების კრედიტორები და სხვა ბიზნეს-პარტნიორები) ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კოორდინირებას“, მოითხოვს წევრი სახელმწიფოების მიერ კომპანიებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, რაც მოიცავს კომპანიის წესდების, დირექტორებისა და შევსებული კაპიტალის, საბუღალტრო ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის, ლიკვიდაციისა და ლიკვიდატორთა დანიშვნის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გამოსაქვეყნებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონი ძირითადად შეესაბამება ევროპულ კანონმდებლობას, საბჭოს პირველ დირექტივასთან სრული შესატყვისობისათვის კანონი უნდა ითვალისწინებდეს საბუღალტრო ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის გამოქვეყნებასაც. თუმცა საეჭვოა, მიზანშეწონილია თუ არა უკვე ამ ეტაპზე საზოგადოების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულების დანერგვა, ვინაიდან კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების პირობებში ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებამ დამფუძნებლებსა და პარტნიორებს შესაძლოა, კრიმინალური სამყაროს მხრიდან გარკვეული პრობლემები შეუქმნას. ამ ეტაპზე უფრო მიზანშეწონილია დანერგვას ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის შესაძლო ლიკვიდაციასთან, სასამართლოს მიერ საზოგადოების „ბათილად“ გამოცხადებასთან, ლიკვიდატორთა დანიშვნასთან, მათ პირად მონაცემებსა და შესაბამის უფლებამოსილებებთან, ასევე კომპანიის ლიკვიდაციის შეწყვეტასთან.

ყველა ეს ინფორმაცია უნდა ქვეყნდებოდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და ინახებოდეს სამენარმეო რეესტრის შესაბამის საქმეში. ამ პროცედურათა შესრულების

სტატიები

უზრუნველსაყოფად საბჭოს პირველი დირექტივა ითვალისწინებს სანქციებს ბალანსისა და მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშის გაუმჟღავნებლობის ან კომერციული დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში.

უფრო მეტიც, პირველი დირექტივის მიხედვით, მნიშვნელოვანია ინფორმაციის გამჟღავნების მესამე სახე, რომელსაც მენარმეთა შესახებ კანონის მე-19 მუხლი ითვალისწინებს. საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე (ბლანკზე) უნდა მიეთითოს შესაბამისი სარეგისტრაციო ორგანო და საზოგადოების სარეგისტრაციო ნომერი, ასევე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ადგილსამყოფელი. კაპიტალის მითითებისას ასევე უნდა მიეთითოს ხელმოწერილი და შევსებული კაპიტალიც. დირექტივისაგან განსხვავებით, მენარმეთა შესახებ კანონი არ მოითხოვს მითითებას საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესში ყოფნის თაობაზე.

საქართველოს კანონის ის ნაწილი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების დოკუმენტაციის იურიდიული ძალის საკითხს და ემსახურება მესამე პირების ინტერესების დაცვას, სრულად შეესაბამება პირველი დირექტივის მოთხოვნებს. პირველი დირექტივის მსგავსად, მენარმეთა შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოება უნდა დაეყრდნოს დოკუმენტებსა და მონაცემებს მხოლოდ მას შემდგომ, რაც ისინი გამოქვეყნდნენ, მიუხედავად იმისა, ზუსტია თუ არა დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საზოგადოება დაამტკიცებს, რომ მესამე მხარემ იცოდა ამ უზუსტობის შესახებ. მესამე პირებთან გარიგებებზე გავლენას არ ახდენს საზოგადოების ორგანოების უფლებამოსილებების შეზღუდვა, მიუხედავად იმისა, მოცემულია თუ არა ასეთი შეზღუდვები საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტებში. ამასთან, მენარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით ნაკისრი ნებმიერი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს ყველა პარტნიორი.

ევროპულ კავშირში ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული დამატებითი მინიმალური სტანდარტები განსაზღვრულია საბჭოს 1976 წლის №77/91 მეორე დირექტივით. იგი, კომპანიის კაპიტალის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების (რომლებსაც განვიხილავთ ქვემოთ, სააქციო საზოგადოებებისადმი მიძღვნილ თავში) გარდა, აწესრიგებს საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხსაც. ინფორმაციის მიწოდების ეს წესები ვრცელდება იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე, რომლებსაც ქართულ სამართალში სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეესაბამება. ინფორმაციის საჯაროობის ზოგად წესებთან ერთად, ეს დირექტივა საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებისათვის დამატებით განსაზღვრავს იმ მინიმალურ სავალდებულო ინფორმაციას, რომელიც უნდა აისახოს კომპანიის წესდებასა თუ რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტებში ან ცალკე დოკუმენტში, რომლებიც გამოქვეყნებულია თითოეული წვერი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ამხანაგობის გარდა, სადაც სამართლებრივი ურთიერთობები პარტნიორებს შორის რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წესდება არის ის ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრება საზოგადოების სტრუქტურა, ხელმძღვანელობა, აქციონერთა უფლებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლი, განსაზღვრავს კავშირისა და ფონდის წესდების შინაარსთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს, მაგრამ არ ითვალისწინებს მსგავს წესებს სხვა ტიპის საზოგადოებებისათვის. მართალია, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გარკვეული ინფორმაცია – როგორცაა: საზოგადოების იურიდიული მისამართი, იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ვინაობა, რომელთა მიერ ან რომელთა სახელითაც მოეწერა ხელი წესდებას და განცხადებას რეგისტრაციის თაობაზე – წარდგენილ უნდა იქნეს სამენარმო

სტატიკა

რეესტრში, მაგრამ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ ინფორმაციის წესდებაში შეტანის ვალდებულებას. სამართლებრივი სიცხადისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა, კანონი განსაზღვრავდეს წესდებაში შემდეგი დებულებების შეტანის ვალდებულებას:

– საზოგადოების სრული და შემოკლებული სახელწოდება (ორგანიზაციული ფორმის მითითებით);

– საზოგადოების ადგილსამყოფელი;

– საწესდებო კაპიტალი და გამოსაშვები აქციების სახე და რაოდენობა;

– პრივილეგიებული აქციების გამოშვების შემთხვევაში, თითოეული სახის პრივილეგიებული აქციების მიერ აქციონერთათვის მინიჭებული უფლებები;

– აქციონერთა კრების ჩატარების წესი;

– საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრთა რაოდენობა.

გარდა ამისა, მეორე დირექტივა განსაზღვრავს მოთხოვნებს საზოგადოების წესდების შინაარსთან დაკავშირებით. წესდება სულ მცირე უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

– საზოგადოების ტიპი და სახელწოდება;

– საზოგადოების მიზნები;

– თუ საზოგადოებას არ გააჩნია განცხადებული კაპიტალი, ხელმოწერილი კაპიტალის ოდენობა;

– თუ საზოგადოებას აქვს განცხადებული კაპიტალი, მისი და ასევე ხელმოწერილი კაპიტალის ოდენობა საზოგადოების იურიდიულ პირად რეგისტრაციის ან საქმიანობის დაწყების უფლებამოსილების შექმნის მომენტისათვის; აგრეთვე განცხადებულ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შეტანის დროისათვის;

– იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით არაა დადგენილი, წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მესამე პირებთან საზოგადოების წარმომადგენლობაზე, მის მართვაზე, ზედამხედველობაზე ან კონტროლზე უფლებამოსილი ორგანოების წევრების რაოდენობასა და დანიშვნის პროცედურას, და ამ ორგანოებს შორის უფლებამოსილებების განაწილებას;

– საზოგადოების არსებობის ვადას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი განუსაზღვრელი ვადითაა შექმნილი.

გარდა აღნიშნულისა, პირველი დირექტივის შესაბამისად, წესდება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებულია სამენარმეო რეესტრში, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

– ხელმოწერილი აქციების ნომინალური ღირებულება და, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ გამოქვეყნდეს მათი რაოდენობა;

– ხელმოწერილი აქციების რაოდენობა მათი ნომინალური ღირებულების მითითების გარეშე, თუ ასეთი აქციების გამოშვება ნებადართულია ეროვნული კანონმდებლობით;

– ნებისმიერი სპეციალური პირობები, რომლებიც ზღუდავენ აქციების გადაცემას, თუკი ასეთი არსებობს;

– აქციების რამდენიმე კლასის არსებობის შემთხვევაში, წინა სამი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია თითოეული კლასის აქციისათვის და მათ მიერ მინიჭებული უფლებები;

– თუ ეროვნული კანონმდებლობით ნებადართულია ორვე სახის, სახელობითი და წარმომდგენის (საწარმდგენლო), აქციების გამოშვება, აქციათა რომელ სახეს განეკუთვნება გამოშვებული აქციები, და თუ ამას კანონი არ განსაზღვრავს, მათ კონვერტირებასთან დაკავშირებული დებულებები;

– ხელმოწერილი კაპიტალის შევსებული ოდენობა საზოგადოების რეგისტრაციის ან საქმიანობის დაწყების უფლებამოსილების შექმნის მომენტისათვის;

– იმ აქციების ნომინალური ღირებულება ან, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში, იმ აქციების რაოდენობა, რომელთა ღირებულებაც ანაზღაურებულია არაფულადი ფორმით, ანაზღაურების ფორმა და ანაზღაურებელი პირის ვინაობა;

– საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებით გადასახდელი ან დაფუძნებასთან

სტატია 20

დაკავშირებით მასზე დაკისრებული ყველა ხარჯის ოდენობა, ან სავარაუდო ოდენობა მაინც, და საჭიროების შემთხვევაში იმ ხარჯების ოდენობა, რომლებიც საზოგადოებამ უნდა გაიღოს საქმიანობის დაწყების უფლებამოსილების შექენამდე;

– საზოგადოების დაფუძნების პერიოდში ან საქმიანობის დაწყების უფლებამოსილების შექენამდე, საზოგადოების დაფუძნებაში ან ასეთი უფლებამოსილების მიმნიჭებელ გარიგებებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის მინიჭებული სპეციალური პრივილეგია.

ინფორმაციის საჯაროობის სტანდარტები უნდა განსხვავდებოდეს აქციონერთათვის ინფორმაციის მიწოდების სტანდარტებისაგან. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს აქციონერთა დაცვას და საშუალებას აძლევს მათ, სათანადო ინფორმაცია იქონიონ საკუთარი ბიზნესის შესახებ. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლობა ვალდებულებას უნდა დაკისრებდეს საზოგადოებას, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, მიაწოდოს აქციონერებს ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიში და წერილობითი ანგარიში საზოგადოების საქმიანობების შესახებ. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნება, აქციონერებს მიენოდოს საზოგადოების სხვა აქციონერთა სია, მათი მისამართებისა და წილების მითითებით. მენარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სააქციო საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია და მოითხოვონ განმარტებები მხოლოდ აქციონერთა კრებაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საზოგადოების არსებით ინტერესებს. თუ საზოგადოებას აქციონერის მოთხოვნა წარედინა აქციონერთა კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე, იგი უნდა დაკმაყოფილდეს კრების ჩატარებამდე ან შეტანილ იქნეს კრების დღის წესრიგში კრებაზე განსახილველად (53-ე მუხლის პუნქტი 3.1). კანონი სავსებით სამართლიანად ზღუდავს ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოების მიერ ზედმეტი ხარჯების გაწევა და კონკურენტებისათვის საინტერესო კომერციული ინფორმაციის გამჟღავნება. იგი ზღუდავს იმ ინფორმაციასთან დაშვებას, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საზოგადოებისათვის, თუმცა გადაჭარბებულმა შეზღუდვამ შესაძლოა აქციონერების კანონიერი ინტერესები შელახოს. იმისათვის, რათა კანონმა ერთდროულად დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი – თავიდან აიცილოს ინფორმაციის მიღების უფლების ბოროტად გამოყენება და აქციონერის ინტერესი – მიიღოს საზოგადოების საქმიანობის რაც შეიძლება სრული სურათი, შესაძლებელია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებული იყოს ზღვრულ პროცენტზე, საზოგადოების კაპიტალის, მაგალითად, 5%-იან ან 10%-იან წილზე, ან/და აქციონერის მიერ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების აღებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აქციონერთა ინტერესების სათანადო დაცვა უკვე უზრუნველყოფილია 53-ე მუხლის მე-3 პუნქტით და იმ უფლებით, რომ საზოგადოების ყველა დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს უფლება აქვს, შეამოწმოს საზოგადოების ანგარიშები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები. საზოგადოების დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე დაკისრებული ზოგადი ვალდებულება, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად და იმოქმედონ საზოგადოების ინტერესებში, ადეკვატურად იცავს საზოგადოებას ინფორმაციის ბოროტად გამოყენებისაგან.

საზოგადოების დაფუძნების პროცესში დაშვებული სამართლებრივი შეცდომების შედეგებისაგან მესამე პირების დაცვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების ამომწურავად განსაზღვრული საფუძვლები. მენარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ საზოგადოება რეგისტრირებულია რეგისტრაციის პირობების დარღვევით, რეგისტრაცია უქმდება, თუ ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. თუკი რეგისტრაციის დაშვებული შეცდომა არღვევს ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს, საზოგადოების წესდებაში არსებითი ხარვეზია აღმოჩენილი ან გახსნილია საზოგადოების გაკოტრების საქმის წარმოება, ეს ინვესტორების საზოგადოების რეგისტრაციის დაუყოვნებელ გაუქმებას. დირექტივის მოთხოვნების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებას სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა ნებისმიერი პროცედურული შეცდომის საზოგადოების რეგისტრაციის

გაუქმების საფუძვლად მიჩნევა სამართლებრივ ბუნდოვანებას გამოიწვევს, ვინაიდან მცირე შეცდომამ შესაძლებელია შექმნას საზოგადოების მიერ განეული საქმიანობის „ბათილობის“ საფრთხე და აიძულოს საზოგადოების საქმიანი პარტნიორები, მოთხოვნა წაუყენონ უშუალოდ საზოგადოების პარტნიორებს (აქციონერებს), რაც მეტად ძნელი განსახორციელებელია. შედეგად, საქმიანი პარტნიორები იძულებულნი იქნებიან, იკისრონ გაუქმებული საზოგადოების პარტნიორების მიერ დაშვებული შეცდომების ტვირთი. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეს აშკარად უსამართლო შედეგები, საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების პროცედურა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი სამენარმეო სამართლის პირველ დირექტივასთან, რომელიც აწესებს საზოგადოების „ბათილობის“ საფუძვლებთან დაკავშირებულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებს იმ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, რომელიც აუცილებელია კრედიტორებისა და სხვა საქმიანი პარტნიორების ინტერესთა დაცვისათვის. ამ კონტექსტში აღსანიშნავია გერმანული სამართალით გათვალისწინებული დებულება „მცდარი კომპანიის“ (*fehlerhafte Gesellschaft*) შესახებ, რომლის თანახმადაც ასეთი კომპანია ითვლება უშეცდომოდ დაფუძნებულად, თუკი ეს არ არღვევს საზოგადოებრივი წესრიგის მოთხოვნებს და პირი მოქმედებდა კეთილსინდისიერად. პირველი დირექტივის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით დგება საკითხი საზოგადოების „ბათილობის“ შესახებ, „ბათილობა“ უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ მხოლოდ მე-11 მუხლში მოცემული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას, კერძოდ:

- არ განხორციელებულა დამფუძნებელი ხელშეკრულება, ან არ შესრულებულა პრევენციული კონტროლის წესები, ან შესაბამისი იურიდიული ფორმალობები;
- კომპანიის მიზნები მართლსაწინააღმდეგოა ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს;
- დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ან წესდებაში არ არის მითითებული საზოგადოების სახელწოდება, კაპიტალის ინდივიდუალურად ხელმონერილი ოდენობები, ხელმონერილი კაპიტალის საერთო ოდენობა ან საზოგადოების მიზნები;
- დაცული არ არის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები მინიმალური შეესებულებული კაპიტალის ოდენობის შესახებ;
- საზოგადოების ყველა დამფუძნებელი პარტნიორი ქმედუნაროა;
- დამფუძნებელი პარტნიორების რაოდენობა ორზე ნაკლებია, რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას.

მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს ზოგადად წესს საზოგადოების ხელმძღვანელთა „კეთილსინდისიერების“ შესახებ, ხოლო 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი შეიცავს სპეციალურ წესს სააქციო საზოგადოებების დირექტორთა „კეთილსინდისიერებისა და გულმოდგინების“ შესახებ. ხელმძღვანელები პასუხს აგებენ საზოგადოების წინაშე და პირებმა, რომლებიც მოითხოვენ ანაზღაურებას, მოთხოვნა უნდა წარადგინონ საზოგადოების წინააღმდეგ. პარტნიორებსა და აქციონერებს არ შეუძლიათ სარჩელი შეიტანონ სასამართლოში ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. მიზანშეწონილია, კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს პარტნიორთა და აქციონერთა უფლება, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, თუმცა ეს უფლება დამოკიდებული უნდა იყოს შესაბამისი აქციონერის წილის ოდენობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული დავეები, როცა დირექტორისაგან ითხოვენ საკმაოდ დიდ თანხებს, რომელიც, თუმცა, ნაკლებია იმ ხარჯებზე, რაც მას სასამართლოში საკუთარი დაცვისათვის დასჭირდება.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ იურიდიული პირისა და მისი პარტნიორის ქონება ერთმანეთისაგან გამიჯნულია ისე, რომ, როგორც წესი, პარტნიორი თავისი ქონებით პასუხს არ აგებს საზოგადოების ვალდებულებებზე. შეზღუდული პასუხისმგებლობის ეს პრინციპი ფუნდამენტურია თანამედროვე სამენარმეო სამართლისათვის, რომლის საფუძველზეც კომპანიებს შეუძლიათ, დიდძალი კაპიტალი მოიზიდონ მრავალი ინვესტორისაგან, რომლებიც არც აკონტროლებენ კომპანიის საქმიანობას და კარგადაც არ იცნობენ

სტატისტიკა

მას. თუმცა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპმა არ უნდა გაათავისუფლოს აქციონერები პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ქმედებებისათვის. სწორედ ამ მიზნით სასარგებლო იქნებოდა მცირე წილის მფლობელი აქციონერების დაცვა მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერების მიერ თავიანთი გავლენის ბოროტად გამოყენებისაგან. მენარმეთა შესახებ კანონის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა (დომინანტია აქციონერი, რომელსაც მართო ან სხვა აქციონერების ჯგუფთან ერთად შესაძლებლობა აქვს, ზეგავლენა მოახდინოს აქციონერთა საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე) განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა საზოგადოების ინტერესების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. ეს დებულება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპიდან საკმაოდ ვიწრო გამონაკლისია, თუმცა უმჯობესია განისაზღვროს დომინანტი აქციონერის პასუხისმგებლობის საკითხი კრედიტორების წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა მისი ბარალის მიმღე ფორმა ან საზოგადოება გადახდისუუნარო გახდა, ვინაიდან რთული იქნება განზრახვის მტკიცებულების მოპოვება. დომინანტი (ძირითადი) საზოგადოების საკმაოდ ვიწრო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, აგრეთვე, მე-17 მუხლის მე-4 პუნქტიც, რომლის თანახმად, თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდება სხვა საწარმოს ხმის უფლების მქონე წილთა 75%-ზე მეტი, ძირითადი საწარმო პასუხს აგებს არაძირითადი საწარმოს წინაშე განზრახ მიყენებული ზიანისათვის.

კანონის მე-13 მუხლი ეხება ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას, რომელიც მოითხოვს მსხვილი საწარმოების მიერ საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების დაცვას, ხოლო მცირე საწარმოთა მიმართ, რომელთაც ჰყავთ არა უმეტეს 10 თანამშრომლისა და სამეურნეო წლის ამონაგები არ აღემატება 40000 ლარს, გამოიყენება ბუღალტრული ანგარიშგების გამარტივებული წესები. ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს სწორი, სრულყოფილი, გასაგები, ორმაგი აღრიცხვის სისტემაზე აგებული. შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს მინიმუმ ათი წლის განმავლობაში. ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული სპეციალური წესები მოცემულია 1999 წლის კანონში „საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშის შესახებ“.

ევროპულ კავშირში ბუღალტრული აღრიცხვა მონესრიგებულია №78/660 მეოთხე დირექტივით, რომელიც შემდგომში შეივსო ერთი რეგლამენტით და კიდევ ექვსი დირექტივით. აღნიშნული დირექტივები, სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში დამკვიდრებულ ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებულ კულტურაზე დაყრდნობით, რთულ ალტერნატივებს გვთავაზობს. წევრი სახელმწიფოებისათვის დირექტივები ითვალისწინებს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების 41 სხვადასხვა ალტერნატივას და 35 დამატებით ალტერნატივას კონკრეტული კომპანიებისათვის, ასე რომ ჰარმონიზაციის ეფექტი ამ სფეროში მეტად შეზღუდულია. ამჟამად ორი ორგანო მუშაობს ამ განსხვავებათა მინიმუმამდე დაყვანაზე, ესენია: საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების კომიტეტი და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაცია. ვინაიდან საქართველოს უკვე ნაკისრი აქვს საერთაშორისო ბუღალტრულ სტანდარტებზე გადასვლის ვალდებულება, ამ სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაცია შესაძლოა, შედარებით გვიანდელ ეტაპზე განხორციელდეს.

ბუღალტრული აღრიცხვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს აუდიტორების განათლების შესახებ 1984 წლის მერვე დირექტივა არეგულირებს. აღნიშნული დირექტივა ითვალისწინებს აუდიტორთა განათლების მინიმალურ სტანდარტებს, რაც ძირითადად მოითხოვს უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის ჩაბარებას, თეორიულ და პრაქტიკულ განათლებას საუნივერსიტეტო ან მის შესაბამის დონეზე, ხოლო ამ სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში – ფინანსურ და საბუღალტრო სფეროში პროფესიით მუშაობის მრავალი წლის გამოცდილებას და შესაბამისი გამოცდის ჩაბარებას. აუდიტორთა სახელები და მისამართები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ (1997 წ.) აწესებს მოთხოვნას,

სტატიები

რომლის თანახმადაც, იმისათვის, რომ პირმა სააუდიტორო საქმიანობა განახორციელოს, მან უნდა მიიღოს სპეციალური სახელმწიფო ნებართვა (საკვალიფიკაციო სერტიფიკატი). ნებართვის მისაღებად კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური იურიდიული ან ეკონომიკური განათლება.

სამენარმეო სამართლის სხვა მნიშვნელოვანი ამოცანა კომპანიათა რეორგანიზაციის ყველა შესაძლო ფორმისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრაა. დღესდღეობით კომპანიათა შერწყმასთან, გაყოფასა და გარდაქმნასთან დაკავშირებული საქართველოში მოქმედი წესები ევროპულ კავშირში მოქმედ წესებთან შედარებით უფრო ზოგადია, თუმცა განსაზღვრულია გარკვეული მინიმალური სტანდარტები, რომელთა თანახმადაც კომპანიათა შერწყმის, გაყოფისა და გარდაქმნის საკითხებს, როგორც წესი, პარტნიორები წყვეტენ. სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა პარტნიორთა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, სხვა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საწარმოს გაყოფისას პარტნიორთა ნებართვა საჭირო არ არის, რაც გარკვეულწილად სარისკოა იმ თვალსაზრისით, რომ ასეთმა ღონისძიებებმა შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ინვესტიციის მოცულობაზე. რაც შეეხება სააქციო საზოგადოებას, კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აქციონერთა კრება იღებს გადაწყვეტილებას შერწყმის, გაყოფისა და გარდაქმნის შესახებ. იმ შემთხვევაში, როცა უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ნაწილი გადაწყვეტილებას შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ მხარს არ უჭერს, მათი უფლებების დაცვა შესაძლებელია 53¹-ე მუხლის საშუალებით, კერძოდ მათ უფლება აქვთ, მოსთხოვონ საზოგადოებას თავიანთი აქციების გამოსყიდვა.

აქციონერს აგრეთვე უფლება აქვს, მოსთხოვოს საზოგადოებას აქციების შეფასება და გამოსყიდვა, იმ შემთხვევაში, როცა მან მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციის, მსხვილი გარიგების დადების ან წესდებში ისეთი ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლებიც არსებითად ლახავს მის უფლებებს (53¹-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). საზოგადოებამ აქციები უნდა გამოისყიდოს მათი საბაზრო ღირებულებით (53¹-ე მუხლი). მართალია, კანონი იყენებს საბაზრო ღირებულების ცნებას, მაგრამ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ პრინციპის განხორციელების საშუალებების განსაზღვრა, ვინაიდან საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი სათანადოდ ჯერ ვერ ფუნქციონირებს.

საბჭოს 1979 წლის №78/855 მესამე დირექტივა საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შერწყმის თაობაზე განსაზღვრავს ევროპულ კავშირში კომპანიების შერწყმის საერთო პროცედურას, რომლის თანახმადაც შეძენილი კომპანიის აქტივები და პასივები შემძენ კომპანიას გადაეცემა ლიკვიდაციის პროცედურის გარეშე. შეძენილი კომპანიის აქციონერებმა შემძენი კომპანიის აქციები უნდა მიიღონ დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ განსაზღვრული გაცვლის კურსის შესაბამისად. კრედიტორების დაცვას უზრუნველყოფს მათი სათანადო გარანტიების უფლება, როდესაც შემძენი კომპანიის ფინანსური მდგომარეობით ეს გამართლებულია. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ დირექტივაში განხილული შერწყმა მოიცავს მხოლოდ აქტივების (მათ შორის ვალდებულებების) და არა სააქციო კაპიტალის შერწყმას. შესაბამისად, დირექტივა არ გამოიყენება, თუ ერთი კომპანია ერწყმის მეორეს აქციების შეძენის გზით. აქციების შეძენის (*take over*) გზით შერწყმის საკითხი ცალკე, მეცამეტე დირექტივით რეგულირდება.

დირექტივის მიხედვით, შერწყმაში მონაწილე კომპანიების მმართველობის ორგანოებმა ერთობლივად უნდა შეადგინონ შერწყმის გეგმა, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მასში მონაწილე კომპანიების შესახებ და მათ ძირითად მახასიათებლებს. პროექტი უნდა გამოქვეყნდეს პირველი დირექტივის მე-3 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. შერწყმაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციამ ან მმართველობის ორგანოებმა უნდა მოამზადონ დეტალური

წერილობითი ანგარიშები, სადაც განმარტებული იქნება შერწყმის პირობების პროექტი და მოცემული იქნება მათი სამართლებრივი და ეკონომიკური დასაბუთება, კერძოდ აქციების გაცვლითი კურსი, ასევე აღწერილი იქნება ნებისმიერი სიძნელე, რომელიც წარმოიშვა სპეციალურ შეფასებებთან მიმართებით. აღნიშნული დირექტივით, შერწყმის პირობების პროექტი უნდა შეამოწმოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა, რომელმაც შემდგომ, თავის მხრივ, უნდა შეადგინოს წერილობითი ანგარიში და მიუთითოს, თუ როგორ განისაზღვრა აქციათა გაცვლის კურსი და გამოყენებულ იქნა თუ არა ადეკვატური მეთოდები. დირექტივით აგრეთვე განსაზღვრულია ექსპერტების დანიშვნის წესი, რაც კომპანიისაგან მათ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს (იხ. მენარმეთა შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი).

შერწყმის ყველა გეგმა და ანგარიში აქციონერებისათვის ცნობილი უნდა გახდეს საერთო კრებამდე (რომელზეც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება შერწყმის თაობაზე) სულ მცირე ერთი თვით ადრე. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნორმები და ბათილობის შეზღუდვები. მოთხოვნები ნაკლებად მკაცრია, თუკი შემქმნი კომპანია უკვე ფლობს შექმნილი კომპანიის სააქციო კაპიტალის 90%-ს ან მეტს.

ანალოგიური სურათი გვაქვს კომპანიის გაყოფის შემთხვევაშიც. საბჭოს 1982 წლის №82/891 მეექვსე დირექტივა საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების გაყოფის შესახებ არეგულირებს საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის გაყოფის საკითხებს კომპანიის ნაწილის გასხვისებისა და ახალი კომპანიის შექმნის მეშვეობით. წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო არ არის რეორგანიზაციის ასეთი ფორმის შემოღება, მაგრამ თუ ეს ეროვნული კანონმდებლობით ნებადართულია, მაშინ გაყოფა უნდა განხორციელდეს ამ დირექტივის დებულებების შესაბამისად. დირექტივა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

– გაყოფაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციულმა ან მმართველობის ორგანოებმა უნდა შეადგინონ გაყოფის პირობების პროექტი;

– გაყოფის პირობების პროექტი უნდა გამოქვეყნდეს პირველი დირექტივის მე-3 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად (იხ. ზემოთ) აქციონერთა საერთო კრების ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

– კომპანიის გაყოფისთვის საჭიროა გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის საერთო კრების თანხმობა;

– გაყოფაში მონაწილე კომპანიების ადმინისტრაციულმა ან მმართველობის ორგანოებმა უნდა მოამზადონ დეტალური წერილობითი ანგარიშები, სადაც ახსნილი იქნება გაყოფის პირობების პროექტი და მათი სამართლებრივი და ეკონომიკური დასაბუთება;

– დამოუკიდებელი ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობა და შეფასება აუცილებელია;

– დირექტივა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აქციონერთა (განსაკუთრებით მცირე წილის მფლობელ აქციონერთა), სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელთა, კრედიტორთა და გაყოფაში მონაწილე კომპანიების დაქირავებულთა ინტერესების დაცვას მთელი ამ პროცედურის განმავლობაში;

– დირექტივაში ჩამოთვლილია კომპანიის გაყოფით გამოწვეული შედეგები (მაგ.: გაყოფილი კომპანია წყვეტს არსებობას, გაყოფილი კომპანიის აქციონერები ხდებიან გაყოფის შედეგად წარმოშობილი ერთი ან მეტი კომპანიის აქციონერები და სხვ.);

– განსაზღვრულია სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან და გაყოფის ბათილობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.

ამგვარად, ევროპულ კავშირში მოქმედი შერწყმისა და გაყოფის მარეგულირებელი წესები უფრო მკაცრია და აქციონერთა დაცვის უფრო მეტ ხარისხს უზრუნველყოფს. ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოება მოკლევადიან პერსპექტივად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს კაპიტალის ბაზრის გაძლიერებას და საქართველოს კომპანიების მიმართ ინვესტორთა ნდობის ამაღლებას.

გ. სამოქალაქო სამართლის ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

გერმანიის კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოს სამენარმეო სამართლის ფესვებიც სამოქალაქო კოდექსში უნდა ვეძიოთ. კომპანიათა ძირითადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა ამხანაგობა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე და შემდგომი მუხლებით რეგულირდება და რომლის მიზანია არა მხოლოდ ეკონომიკური და სამენარმეო, არამედ ნებისმიერი სხვა ხასიათის ერთობლივი მიზნის მიღწევა. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით მასში მონაწილეები ვალდებულია კისრულობენ, ერთობლივად გაუძღვნენ საქმეებს საერთო მიზნის მისაღწევად (სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი). ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. იგი არის პირთა გაერთიანება, რომელიც იქმნება ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს საერთო სამეურნეო და სხვა მიზნების მიღწევას. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მარტივი სამართლებრივი გაერთიანებები, როგორცაა: ერთობლივი საკუთრება, თანამესაკუთრების გაერთიანება და წილობრივი სამართლებრივი ურთიერთობები, არ წარმოადგენს ამხანაგობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, ერთობლივად წარმოადგინონ ამხანაგობა, ხოლო 933-ე მუხლის თანახმად, წილი არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას. აღნიშნული, გარკვეულწილად, გერმანული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების მსგავსია, რომლის თანახმად, მესამე პირებისთვის წილის გადაცემა დაუშვებელია, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. „პარტნიორთა ჯაჭვის“ შესახებ ეს სტანდარტული წესი ტიპურია ტრადიციული გერმანული სამართლით რეგულირებული ერთობლივი საკუთრებისათვის (*Gesamthand*). ამის საწინააღმდეგოდ, რომელიც სამართლის მიხედვით, რომელიც გერმანიის სამოქალაქო სამართლის სხვა ნაწილების ძირითადი წყაროა, წილის ინდივიდუალური გადაცემის აკრძალვისათვის აუცილებელი იყო მხარეთა მკაფიოდ გამოხატული თანხმობა ხელშეკრულებაში. საქართველოს კანონი აღნიშნულ ორ მიდგომას შორის მერყეობს. ამდენად, კანონმდებლობით გადანაცვლებული უნდა იქნეს საკითხი, დაწესდეს თუ არა წილის გადაცემისათვის პარტნიორთა თანხმობის შესახებ მკაცრი შეზღუდვები. ეს გარკვეულ უზერხელობას იწვევს, რადგან პარტნიორს არ აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად მიიღოს გადანაცვლებული ხელშეკრულებიდან მომდინარე ან მისგან არგამომდინარე საკითხების თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის თანახმად, პარტნიორები სოლიდარულად აგებენ პასუხს ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

საქართველოში ამხანაგობა შესაფერისი ფორმაა თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელთა (იხ. ზემოთ) საქმიანობის განსახორციელებლად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ გერმანიის კანონმდებლობამ გარკვეული პროგრესი განიცადა. 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელთა ამხანაგობების შესახებ, რომლის მიზანი იყო კანონმდებლობის ისტორიული მიზეზებით განპირობებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლებს კანონი შესაძლებლობას აძლევს, შეზღუდონ პარტნიორთა შორის პასუხისმგებლობა დაზღვევის საშუალებით. ამავე დროს, გერმანიის სამართლით, ექიმებსა და იურისტებს შეუძლიათ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა.

თუ ხელშეკრულების მონაწილეები სხვაგვარად არ გადანაცვლებენ, ისინი ერთობლივად უძღვებიან საქმეებს (სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ხელშეკრულების მონაწილეები თვითონ განსაზღვრავენ შესატანის ოდენობას. მონაწილის შესატანი ვერ გაიზრდება მისი წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, არსებობს ზრუნვის ვალდებულება, რომელიც მოითხოვს ყველა მონაწილისაგან ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე

სტატიკა

მოვალეობათა კეთილსინდისიერ შესრულებას (სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შემოსავლები პარტნიორებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად, თუ მათ შორის სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს.

მონაწილის უარი ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე, სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლით, შესაძლებელია ნებისმიერ დროს, რაც ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას იწვევს, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამხანაგობის დაშლის შემდეგ იწყება ლიკვიდაციის პროცედურა, რომელიც სრულდება ქონების განაწილებით.

დ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ამ სფეროში მოქმედებული გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (*Offene Handelsgesellschaft*) პარტნიორები თავად არიან სამართლის სუბიექტები და აქვთ უფლებები და მოვალეობები, მენარმეთა შესახებ კანონით თვითონ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი. საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, პასუხისმგებლობის გარდა, არსებობს ასევე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა (მე-20 მუხლი). გერმანული სამართლის მსგავსად, იგი შედგება ორი ან მეტი პარტნიორისაგან, რომლებიც ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ახორციელებენ სამენარმეო საქმიანობას. მენარმეთა შესახებ კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ პარტნიორთა პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორმა წარუმატებლად იდავა საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, წინააღმდეგ. ეს დებულება ცდილობს, თავიდან აიცილოს ორმაგი სასამართლო პროცესი და კრედიტორს აძლევს პარტნიორის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლებას, თუ მას მიღებული აქვს იგი საზოგადოების წინააღმდეგ.

საქმიან ურთიერთობაში საზოგადოების წარმომადგენლობა რეგულირებულია 23-ე მუხლით. ამ დებულების თანახმად, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია გაუძღვეს საწარმოო საქმეებს, რომლებსაც ისინი საჭიროებისას ცალ-ცალკე განახორციელებენ, თუ რომელიმე პარტნიორი ამის წინააღმდეგი არ იქნება. ეს ნიშნავს იმას, რომ წარმომადგენლობის უფლება, როგორც წესი, მხოლოდ ერთ პარტნიორს არა აქვს, რაც ეწინააღმდეგება გერმანული სამართლის დებულებებს, რომელთაც ზოგადად ეფუძნება ქართული კანონმდებლობა და რამაც შეიძლება გაართულოს გადანაცვტილების მიღების პროცესი. გერმანული სამართლის თანახმად, პარტნიორებს უფლება აქვთ, გადანაცვტილება დამოუკიდებლად მიიღონ, როდესაც გადასანაცვტი საკითხი ექცევა მათი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და სხვა პარტნიორები ამის წინააღმდეგი არ არიან. ეჭვის არსებობის შემთხვევაში, გადანაცვტილებას იღებს არა ერთი, არამედ ყველა პარტნიორი. ერთი პარტნიორის მიერ თავისი წარმომადგენლობის უფლების გადაჭარბების შემთხვევაში გარიგება ნამდვილია, მაგრამ სხვა პარტნიორებს შეუძლიათ, ერთმანეთს მოსთხოვონ ზარალის ანაზღაურება. 22-ე მუხლის შესაბამისად, იმ გადანაცვტილებებს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, ღებულობს პარტნიორთა კრება. მათ, ვისაც არ გააჩნიათ წარმომადგენლობის უფლება, თავიანთი, როგორც პარტნიორების, მდგომარეობის გამო, შეიძლება მიიღონ ეს უფლება პარტნიორების გადანაცვტილებით.

პარტნიორთა გადანაცვტილება მიიღება ერთხმად, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (მენარმეთა შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი). გადანაცვტილების მიღება უმრავლესობის მიერ დაუშვებელია, თუ გადანაცვტილება ერთ-ერთ პარტნიორს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში, ან ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს. ქართული კანონისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც პარტნიორთა კრებაზე ყოველ პარტნიორს აქვს თითო ხმა, გერმანული კანონი ადგენს, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში უმრავლესობა გამოითვლება წილების შესაბამისად. თუმცა აუცილებელია, რომ, თუ საზოგადოების

სტატიკა

დამფუძნებელი ხელშეკრულება ითვალისწინებს ხმათა უმრავლესობით გადანყვეტილების მიღებას, პარტნიორებისათვის თავიდანვე ცნობილი იყოს, ხელშეკრულების რომელი ნაწილის შესასწორებლად შეიძლება გახდეს საჭირო ასეთი სახით გადანყვეტილების მიღება (სამართლებრივი სიცხადის პრინციპი).

მენარმეთა შესახებ კანონის 25-ე მუხლით, მოგება ან ზარალი დგინდება ბალანსის საფუძველზე. აღნიშნული უფრო დეტალურად არის განსაზღვრული გერმანულ კანონმდებლობაში, სადაც ნათქვამია, რომ მოგება-ზარალის დადგენა ხდება სანყის და საბოლოო ბალანსის შედარებით. მოგების წილი ემატება თითოეული პარტნიორის წილს. როგორც წესი, ყოველ პარტნიორს მიღებული მოგებიდან ეკუთვნის წილი კაპიტალში მისი წილის 4%-ის ოდენობით. დარჩენილი მოგება თანაბრად ნაწილდება პარტნიორთა რაოდენობის მიხედვით და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი შესაძლებელია, პარტნიორებმა სხვაგვარად განსაზღვრონ. პარტნიორს უფლება აქვს, გაიტანოს თანხა თავისი წილიდან არა უმეტეს მისი წილი მოგების ოდენობისა. საზოგადოებას შეუძლია, უარი თქვას ამაზე, თუ ეს აღემატება 4%-იან ზღვარს. თუ არსებული თანხა არ არის საკმარისი თითოეულისათვის 4%-ის გადასახდელად, მაშინ მოგებაში პარტნიორის წილი განისაზღვრება შესაბამისად უფრო დაბალი პროცენტით.

პარტნიორები პირადად, მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს საზოგადოების ვალებისათვის. მათი პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება წესდების შესაბამისად. ერთმანეთთან ურთიერთობაში ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით პარტნიორმა, პირველ რიგში, უნდა მიმართოს საზოგადოებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ვერ შეძლებს ზიანის სრულად ანაზღაურებას, იგი მიმართავს სხვა პარტნიორებს. არც საქართველოს და არც გერმანიის კანონმდებლობა არ არეგულირებს პარტნიორის მიერ საზოგადოების საქმეების შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს. გერმანიაში ზოგადი შეხედულების მიხედვით, აღნიშნული საკითხი რეგულირდება კავშირების მარეგულირებელი დებულებების ანალოგიით გამოყენებით. საქართველოშიც ეს საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებით.

მენარმეთა შესახებ კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, საზოგადოების წინააღმდეგ წაყენებული პრეტენზიის წინააღმდეგ თითოეულ პარტნიორს შეუძლია წამოაყენოს ის შეგებებული მოთხოვნა, რომლის უფლებაც აქვს საზოგადოებას ან პირადად მას. ამავე მუხლის თანახმად, პარტნიორს უფლება აქვს, უარი თქვას გადახდაზე, სანამ პარტნიორს ან საზოგადოებას გააჩნია ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა. კანონის 21-ე მუხლით, თითოეულ პარტნიორს შეუძლია, განახორციელოს დაცვა პირადი ან საზოგადოების მიზეზით არსებული კრედიტორების მოთხოვნების წინააღმდეგ.

საზოგადოებასა და პარტნიორებს შორის შიდა ურთიერთობა არ არის ერთობლივი ვალდებულება. პარტნიორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საზოგადოებისადმი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის დებულებიდან, რომელიც ეხება დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებას, ვინაიდან მან განია ხარჯები საზოგადოების სახელით ან მის სასარგებლოდ. აღნიშნული არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა პარტნიორს, მაგალითისათვის, სესხის ხელშეკრულება საზოგადოებასთან დადებული აქვს, როგორც მესამე პირს. ასეთ ვითარებაში პარტნიორი უნდა ეცადოს ზიანის ანაზღაურებას საზოგადოებისაგან; ამ დროს, მე-20 მუხლის მიხედვით, სხვა პარტნიორები სოლიდარულად აგებენ პასუხს. თუმცა ზრუნვის ზოგადი ვალდებულება პარტნიორს აკისრებს მოვალეობას, მოთხოვნაში ზიანის საკუთარი კვოტა გაითვალისწინოს.

საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება იყოს ვადის გასვლა, საზოგადოების გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა, სასამართლოს გადანყვეტილება და პარტნიორთა გადანყვეტილება. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პარტნიორის გასვლის საფუძველი შეიძლება იყოს მისი გარდაცვალება, მის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა, ან,

სტატიები

თუ პარტნიორი იურიდიული პირია, მისი გაუქმება, ასევე წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძვლები. საზოგადოების დაშლის შემდეგ მისი არსებობა არ სრულდება, არამედ იწყება სალიკვიდაციო პროცედურა. ლიკვიდატორები არიან პარტნიორები, რომელთა შესაბამის ვალდებულებებს განსაზღვრავს მენარმეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლი. უნდა მოხდეს საზოგადოების ქონების ფულად ფორმაში გადაყვანა; მისი საბოლოო განაწილება კი მოხდება საბოლოო ბალანსის შედგენის შემდეგ პარტნიორთა წილების მიხედვით, როდესაც კომპანიის ლიკვიდაცია დასრულდება.

ახალი პარტნიორის შემოსვლა საჭიროებს ცვლილებას წესდებაში. წილი ემატება მას და ყველა სხვა პარტნიორს, ამასთან, აქტივების ერთჯერადი გადაცემა არ არის აუცილებელი. პირიქით ხდება პარტნიორის გასვლის შემთხვევაში, რომელიც შესაძლებელია იყოს წესდების გაუქმების ან ამ პარტნიორის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შედეგი (მენარმეთა შესახებ კანონის 31-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი). ამ დროს დარჩენილი პარტნიორები ვალდებული არიან, გაათავისუფლონ იგი საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა (მენარმეთა შესახებ კანონის 31-ე მუხლი, მე-2 პუნქტი). პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი კაპიტალი, თუ წესდებით დაშვებულია გასხვისება, ან დანარჩენი პარტნიორები განაცხადებენ თანხმობას; შედეგად, ახალი პარტნიორი იკავებს ძველი პარტნიორის ადგილს (მენარმეთა შესახებ კანონის 30-ე მუხლი). პარტნიორები შეიძლება გაირიცხონ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ისინი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვევენ საზოგადოების წინაშე მათზე დაკისრებულ არსებით მოვალეობას და სხვა პარტნიორები მოითხოვენ ამას (მენარმეთა შესახებ კანონის 31-ე მუხლი, მე-2 პუნქტი).

თუ ერთ-ერთი პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოება აგრძელებს არსებობას, მემკვიდრეებს 33-ე მუხლის საფუძველზე უფლება აქვთ, მოითხოვონ შესაბამისი კომპენსაცია. ასეთი მოთხოვნა შესაძლოა შეიზღუდოს წესდებით. ამ შემთხვევაში გარდაცვლილი პარტნიორის წილი დაემატება სხვა დარჩენილ პარტნიორებს.

ე. კომანდიტური საზოგადოება

მენარმეთა შესახებ კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული კომანდიტური საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ასევე გერმანული კანონით რეგულირებული *Kommanditgesellschaft*-ის მსგავსია. ხელშეკრულების თანახმად, კომანდიტურ საზოგადოებაში მონაწილეობს სრული პარტნიორი (კომპლემენტარი), რომელიც საზოგადოების კრედიტორების წინაშე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მსგავსად, პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით და ერთი ან მეტი შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი), რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე მის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხის ოდენობით შემოიფარგლება. საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კომპლემენტარს, ხოლო კომანდიტები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში და არ სარგებლობენ წარმომადგენლობის უფლებით. თუმცა კომანდიტებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ კომპლემენტართა იმ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ სანარმოო საქმიანობას (მენარმეთა შესახებ კანონის 37-ე მუხლი). ასეთ შემთხვევებში საჭიროა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. ამ კონტექსტში მიზანშეწონილი იქნებოდა ისეთი წესის შემოღება, რომელიც კომანდიტისათვის საზოგადოების საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფდა, რაც მას თავისი უფლებების განხორციელების საშუალებას მისცემდა. კანონის დებულებები საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებაზე მოქნილია და წესდებით შეიძლება განისაზღვროს ამ უფლების კომანდიტისთვისაც მინიჭება. თუ კომანდიტის წარმომადგენლობის უფლებამოსილება სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აგებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი.

სტატუსი

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული დებულებები მოქნილია, რადგან პარტნიორებს უფლება აქვთ, სხვაგვარადაც შეთანხმდნენ. მათ წარმომადგენლობის უფლება შეუძლიათ მიიღონ ნების გამოვლენის საშუალებით და კომპლემენტართა ეს უფლება შეიძლება გამოირიცხოს საზოგადოების დამფუძნებელი ხელშეკრულებით ანუ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით – წესდებით. ამ მხრივ გერმანული სამართლის დებულებები საქართველოს კანონთან შედარებით უფრო მოქნილია. ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კომანდიტების წარმომადგენლობის უფლება და ისინი შეიძლება ძირითადი პარტნიორებიც გახდნენ, ვინაიდან, წევრობის საფუძველზე წარმომადგენლობის უფლების არარსებობის მიუხედავად, მათ ეს უფლება შეიძლება ნების გამოვლენის საფუძველზე მაინც მიენიჭოთ. ასე რომ, შესაძლოა, კომპლემენტარი გამოირიცხოს კიდევ ხელშეკრულებით.

კომპლემენტარის წილის გადაცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წესდება ამას ითვალისწინებს, ან არსებობს სხვა პარტნიორების თანხმობა, ხოლო კომანდიტის მიერ წილის გადაცემა შესაძლებელია სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშეც, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (43-ე მუხლი).

კომანდიტი თავისი შესატანის სრულად შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირდაპირ და პირადად მის მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობით (მენარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი). ასეთ შემთხვევაში გერმანიის კანონმდებლობა შეუზღუდავ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კრედიტორების მოთხოვნათა წინააღმდეგ კომანდიტს უფლება აქვს გამოიყენოს იგივე შესაგებელი, რაც კომპლემენტარს. თუ პასუხისმგებლობა წარმოიშვა კომანდიტური საზოგადოების რეგისტრაციამდე, კომანდიტი პასუხს აგებს მის მიერ განსახორციელებელი შესატანის ოდენობით (მენარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლი), განსხვავებით გერმანული კანონისაგან, რომლის თანახმადაც, ამ შემთხვევაში კომანდიტი შეუზღუდავად აგებს პასუხს. თუ მან შესატანი მხოლოდ ნაწილობრივ შეიტანა, პერსონალური პასუხისმგებლობა იგივე რჩება შესატანის დარჩენილი ნაწილის ოდენობის ფარგლებში. თუ შესატანი აუნაზღაურდა კომანდიტს, კომპლემენტარის ზემოთ აღნიშნული პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზრდება.

პირები, რომლებიც შედიან უკვე არსებულ საზოგადოებაში, პასუხს აგებენ იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მათ შესვლამდე, მაგრამ საზოგადოების რეგისტრაციის შემდგომ. პარტნიორის პასუხისმგებლობა არ წყდება მისი საზოგადოებიდან გასვლის შემდეგ. საზოგადოებიდან გასვლისას საკრედიტო ნაშთის მიღება ჩაითვლება შესატანის დაბრუნებად, რაც ცვლავ წარმოშობს მის პირად პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც შესატანის მესამე პირისათვის გადაცემა არ ითვლება შესატანის დაბრუნებად. გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მენარმეთა შესახებ კანონით არ არის ნებადართული კომანდიტურ საზოგადოებაში კომპლემენტარად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილეობა.

ვ. სააქციო საზოგადოება

მენარმეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოება (*Aktiengesellschaft*) არის იურიდიული პირი, რომლის სანესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების აქციებად. კანონი ითვალისწინებს აქციების სახელობით ფორმას, რომელთა გადაცემა ხდება ხელშეკრულების ან ინდოსამენტის მეშვეობით. აქციები გაიცემა მფლობელის სახელზე და რეგისტრირდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში. აქციათა გადაცემა შეიძლება შეზღუდული იყოს და საჭიროებდეს საზოგადოების თანხმობას. მენარმეთა შესახებ კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ ითვალისწინებს წარმომდგენის (საწარმდგენლო) აქციების გაცემის შესაძლებლობას, რაც გარკვეული რისკისაგან იცავს ინვესტორებს. აქციები შეიძლება იყოს პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი და თავისუფლად გადაცემადი ან ვინკულირებული.

მენარმეთა შესახებ კანონის 56-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს. როგორც წესი, დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანანქონით. თუ ასეთი შინაგანანქონი არ არსებობს, მაშინ გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი. დირექტორები საზოგადოებას მართავენ ერთობლივად, თუმცა ცალკეულ დირექტორებს შეიძლება მიენიჭოთ გარკვეული სახის საქმიანობის გაძღოლის განსაკუთრებული უფლებამოსილება. საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს დირექტორთა განსაზღვრული ვადით დანიშვნას. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, დირექტორთა საბჭოს წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არა უმეტეს ხუთი წლის ვადით.

დირექტორების საქმიანობას კონტროლს უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სულ ცოტა სამი, მაგრამ არა უმეტეს ოცდაერთი წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭო კოლეგიალური ორგანოა, რომელიც ფორმალურად იღებს გადაწყვეტილებებს. როგორც წესი, საზოგადოების საქმიანობის წარმართვაზე გადამწყვეტ გავლენას გენერალური დირექტორები ახდენენ. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა სააქციო საზოგადოებისათვის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის კი იგი ფაკულტატიურია. საბჭოს წევრთა ორი მესამედი აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ, ხოლო ერთი მესამედი შეიძლება აირჩეს საზოგადოების დაქირავებულთაგან, აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი დებულების შესაბამისად. დაქირავებულთაგან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესის განსაზღვრის უფლებამოსილების აქციონერებისათვის მინიჭებას მივყავართ იქამდე, რომ დღეს პრაქტიკა თითქმის არ იცნობს საბჭოში დაქირავებულთა წარმომადგენლების შეყვანის პრეცედენტს. ამ ვითარების გამოსასწორებლად შეიძლება მიზანშეწონილი იყოს დაქირავებულების წარმომადგენელთა არჩევის პროცედურის განსაზღვრის უფლებამოსილების პროფესიული კავშირებისათვის ან შრომითი კოლექტივისათვის გადაცემა.

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, დაქირავებულებს უფლება აქვთ, თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდეთ სამეთვალყურეო საბჭოში მხოლოდ განსაზღვრული ზომის კომპანიებში. დაქირავებულთა წარმომადგენლების შესახებ 1976 წლის კანონის მიხედვით, შესაბამისი წარმომადგენლების რაოდენობა დამოკიდებულია კომპანიის ზომასა და წარმოების დარგზე. მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭოში, როგორც წესი, აქციონერთა და დაქირავებულთა წარმომადგენლების რაოდენობა თანაბარია, აქციონერთა პოზიცია მაინც უფრო ძლიერია, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ე.წ. ორმაგი ხმის უფლებით სარგებლობს, ხოლო ეს უკანასკნელი მხოლოდ აქციონერთა წარმომადგენელი შეიძლება იყოს.

ქვანახშირისა და ფოლადის სექტორში მოქმედებს სამთო მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების შესახებ 1951 წლის კანონი, ხოლო ამ პროფილის კომპანიათა ასოციაციაში დომინანტ კომპანიებზე ვრცელდება სამთო მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების შესახებ 1956 (1988) წლის კანონი. ასეთ კომპანიებში სამეთვალყურეო საბჭო შედგება დაქირავებულთა და აქციონერთა წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობისაგან. სააქციო საზოგადოებებში, სადაც 500-დან 2000-მდე დაქირავებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა ხდება 1952 წლის წარმოების დაფუძნების შესახებ კანონის შესაბამისად, რომლის სხვა ნაწილები აღარ არის ძალაში. აქ სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს დაქირავებულთა წარმომადგენლები შეადგენენ.

დირექტორთა ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. გერმანული კანონის მსგავსად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ დირექტორთა საბჭოს თხოვნით. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებია:

სტატია 20

- დირექტორთა საქმიანობის კონტროლი;
- საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება;
- საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტაციის კონტროლი;
- აუდიტორების კონტროლი;
- დირექტორების დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას მოითხოვს, მათ შორის: სანარმოთა 50%-ზე მეტი წილის შექმნა და გასხვისება, უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შექმნა, წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა, წლიური ბიუჯეტის, საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება, გარკვეულ ზღვარს ზევით სესხებისა და კრედიტების აღება, ცვლილებები საქმიანობაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება და აქციების გამოსყიდვა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს მცირე აქციონერებს, დომინანტი აქციონერების სურვილის სანინააღმდეგოდ, თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდეთ სამეთვალყურეო საბჭოში, გათვალისწინებული უნდა იყოს წესდებით, თუმცა, საეჭვოა, ეს წესი ამოქმედდეს პრაქტიკაში, ვინაიდან ასეთი პროცედურის შემოღება დამოკიდებულია აქციონერთა უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე და ამდენად ნაკლებად სავარაუდოა, აქციონერები დასთანხმდნენ თავიანთი ისეთი უფლებების შეზღუდვაზე, როგორცაა საბჭოს წევრებისა და დირექტორების დანიშვნა და, შესაბამისად, საზოგადოების საქმიანობაზე გავლენის მოხდენა. ამგვარად, რეკომენდებულია, რომ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენება კანონის იმპერატიულ მოთხოვნად იქცეს.

საერთო კრება, რომელსაც კანონის 54-ე მუხლი არეგულირებს, სააქციო საზოგადოების ის ორგანოა, სადაც აქციონერები თავიანთ მმართველობით უფლებებს ახორციელებენ. აქციონერების საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება მოიცავს: საერთო კრებაში მონაწილეობის, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის, ინფორმაციის მიღებისა და საერთო კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებებს. მენარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, საერთო კრების უფლებამოსილებებია:

- საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების შერწყმის, გაყოფისა და გარდაქმნის შესახებ;
- აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების შეცვლა;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
- სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა;

- გადაწყვეტილების მიღება ისეთ გარიგებებზე, რომელთა ღირებულება აჭარბებს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 50%-ს.

აღნიშნულ უფლებამოსილებებს ითვალისწინებს სხვა ქვეყნების სამართალიც. თუმცა ყურადღებას იმსახურებს ზოგიერთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტასაც სამართლებრივი სისტემების უმრავლესობა აქციონერთა განსაკუთრებულ კომპეტენციას მიაკუთვნებს და რომელთა გათვალისწინებაც ქართულ სამართალში აგრეთვე მიზანშეწონილი იქნება, კერძოდ:

- ობლიგაციების გამოშვება;

სტატიკა

- ისეთი გარიგების დადება, რომელიც ინტერესთა კონფლიქტთანაა დაკავშირებული;
- ნლიური დივიდენდების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- საზოგადოების მიერ აქციების გამოსყიდვის დამტკიცება;
- დირექტორთა საბჭოს წევრების არჩევა და მათი უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტა.

აქციონერთა კომპეტენციაში შემავალ საკითხთა წრის გაფართოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან უმცირესობაში მყოფი აქციონერების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაბმა მათი ინტერესების დაცვის უკეთესი მექანიზმია, ვიდრე მათთვის აქციების შეფასებისა და გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების მინიჭება, რისი განხორციელებაც რთულდება არაუფუნქციონირებადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირობებში. ამდენად, აქციონერთა კრების ფართო უფლებამოსილებებმა შეიძლება უზრუნველყონ მენარმეთა შესახებ კანონით მინიჭებული გამოსყიდვის უფლებები.

აქციონერთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა უნდა აკმაყოფილებდეს კენჭისყრის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს, რაც გამომდინარეობს ხელმძღვანელების ზრუნვისა და ლოიალობის მოვალეობიდან. სასარგებლო იქნებოდა ამის კანონით ან სასამართლო პრაქტიკით დაზუსტება, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ხანგრძლივი და ხარჯიანი პროცესია. კერძოდ, მიზანშეწონილი იქნება, აქციონერებს საშუალება მიეცეთ, ხმა მისცენ ფოსტით, წარმომადგენლის ან წერილობითი კენჭისყრის მეშვეობით. რაც შეეხება საზოგადოების ხელმძღვანელებს, მათ აკრძალული უნდა ჰქონდეთ კენჭისყრაში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მნიშვნელოვანია ხმების კეთილსინდისიერად დათვლის უზრუნველყოფი მექანიზმის (დამოუკიდებელი ხმის დამთვლელი კომისიის) არსებობა. ასევე მნიშვნელოვანია, აქციონერებს ჰქონდეთ საზოგადოების სხვა აქციონერთა ვინაობის, მისამართისა და მათი წილის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, აგრეთვე აქციების ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ, რომლებიც აქციებს ფლობენ არაპირდაპირ ნომინალური მფლობელების საშუალებით. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნება განისაზღვროს აქციონერთა მიერ ნლიურ საერთო კრებაზე კენჭისყრაზე საკითხების დაყენების, მათ შორის დირექტორთა წარდგინებების, აგრეთვე რიგგარეშე კრების მოწვევის პროცედურა.

აქციონერთა უფლებებისა და უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა აქციონერს აძლევს თავისი ინიციატივით მოქმედების უფლებას. მენარმეთა შესახებ კანონის 53-ე მუხლის თანახმად, საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერს შეუძლია მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად ნლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ის მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

მცირე აქციონერების ინტერესთა დაცვის ხარისხის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია ისეთ გარიგებებზე თანხმობის სპეციალური წესების განსაზღვრა, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ გულმოდგინებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულება უზრუნველყოფს დაცვის გარკვეულ ხარისხს, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული გარიგებების თაობაზე არადაინტერესებულ დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთაგან წინასწარი თანხმობის მიღების ვალდებულების განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ნებისმიერ შემთხვევაში კანონი უნდა კრძალავდეს ორი სახის გარიგებას, კერძოდ გარიგებას, რომელიც არ არის ეკონომიკურად გამართლებული და გარიგებას, რომელიც ქმნის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სერიოზულ რისკს, ესენია: ფულის გადახდა (დაბრუნება) მესამე პირის მიერ ინსაიდერისათვის საზოგადოებასა და მესამე პირს შორის დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით; საზოგადოების მიერ სესხის მიცემა ინსაიდერისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის ან გონივრული პროცენტის გადახდის გარეშე.

კანონით დადგენილი მინიმალური სანესდებო კაპიტალის ოდენობა სააქციო საზოგადოებებისათვის 15000 ლარს შეადგენს, რაც, შესაძლოა, არსებული ეკონომიკური პირობების ადეკვატურია, თუმცა მიზანშეწონილი იქნება, საზოგადოების წმინდა აქტივების შემცირების (ისე, რომ მათი ღირებულება დადგენილ მინიმალურ ზღვარზე ნაკლები აღმოჩნდება) შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებდეს კაპიტალის გაზრდის ან საზოგადოების ლიკვიდაციის ვალდებულებას, რათა დაცულ იქნეს საზოგადოების კრედიტორთა ინტერესები.

ჩვენ მიერ უკვე განხილული ევროპული კავშირის მეორე დირექტივა, ინფორმაციის მინოდების მარეგულირებელი წესების გარდა, შეიცავს საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების კაპიტალის შენარჩუნებასა და შეცვლასთან დაკავშირებულ დებულებებს, როგორცაა: მოგების არარსებობის შემთხვევაში დივიდენდების გაცემის აკრძალვა, საზოგადოების მიერ აქციების გამოსყიდვის აკრძალვა, ფინანსური დახმარების აკრძალვა, რაც მიზნად ისახავს კრედიტორთა დაცვას, ხოლო კაპიტალის გაზრდასა და შემცირებასთან დაკავშირებული დებულებები – წინასწარი შეთანხმების გარეშე საზოგადოებაში აქციონერის მდგომარეობის შეცვლის თავიდან აცილებას.

დირექტივის თანახმად, საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების ხელმძღვანელი მინიმალური კაპიტალი უნდა აღემატებოდეს 25 000 ევროს და შედგებოდეს მხოლოდ ეკონომიკურად შეფასებადი აქტივებისაგან – სამუშაოს შესრულების ან მომსახურების მინოდების ვალდებულება არ შეიძლება შეადგენდეს ასეთი აქტივების ნაწილს. არაფულადი შესატანი უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა და შედეგები უნდა გამოქვეყნდეს პირველი დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სანესდებო კაპიტალში შესატანი შეიძლება განხორციელდეს ფულადი ან არაფულადი ფორმით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შემთხვევაში არაფულადი შესატანის შეფასებას ახდენს დამოუკიდებელი აუდიტორი. სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებით, 59-ე მუხლი მოითხოვს დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასებას მხოლოდ კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში და სადავოა, ვრცელდება თუ არა ეს წესი დაფუძნებისას განხორციელებულ შესატანზე. ნებისმიერ შემთხვევაში არაფულადი შესატანი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, გარდა მცირე ოდენობის შესატანისა. უფრო მეტიც, მიზანშეწონილი იქნება, კაპიტალის არალიკვიდური აქტივებით შევსების აკრძალვის დაწესება. მენარმეთა შესახებ კანონის თანახმად, შესატანის ნახევრი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, ხოლო მეორე ნახევარი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

გარდა ამისა, მეორე დირექტივა მოითხოვს, რომ, თუ კომპანია განსაზღვრულ პერიოდში შეიძენს მე-3 მუხლში მითითებული პირის ან კომპანიის კუთვნილ ნებისმიერ აქტივს ხელმძღვანელი კაპიტალის არანაკლებ ერთი მეათედის ოდენობით, მაშინ შენაძენი უნდა შეფასდეს და მისი დეტალები გამოქვეყნდეს მე-10 მუხლით განსაზღვრული წესით და დასამტკიცებლად წარედგინოს საერთო კრებას (იხ. მენარმეთა შესახებ კანონის მე-11 მუხლი).

აქციონერის ყველაზე მნიშვნელოვანი ქონებრივი უფლება არის დივიდენდის მიღების უფლება, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, წევრობის მიხედვით მიიღოს დივიდენდები და მოითხოვოს გადახდა მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. დივიდენდის მოთხოვნის უფლება უთანაბრდება აქციონერის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას, რომელზეც წყდება მოგების განაწილების საკითხი. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აქციონერს წარმოეშობა შესაბამისი მოთხოვნის უფლება საზოგადოების მიმართ.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების ტრადიციის მიხედვით, დივიდენდები მიიჩნევა საზოგადოების მიერ თავისი დაგროვილი მოგების აქციონერებზე განაწილების საშუალებად. ანგლოსაქ-

სტატია 20

სური საერთო სამართლის ტრადიციით კი, დივიდენდების გაცემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე იმ ფონდების აქციონერებზე გასანაწილებლადაც, რომლებიც საზოგადოებას აღარ სჭირდება სამეურნეო საქმიანობისათვის და საზოგადოების კაპიტალის სტრუქტურის შესაცვლელად. მენარმეთა შესახებ კანონში ეს საკითხი არ არის რეგულირებული. ამ შემთხვევაში შესაძლოა სასარგებლო იყოს დაბალანსებული მიდგომა. ამდენად, სტანდარტული წესი შესაძლებელია ითვალისწინებდეს დივიდენდების სახით მხოლოდ წარსულში მიღებული, დაგროვილი, ისევე როგორც მიმდინარე, მოგების განაწილებას. საზოგადოებას უფლება უნდა ჰქონდეს წესდებაში დივიდენდების განაწილების უფრო მკაცრი წესების განსაზღვრისა, რათა მეტად მიიზიდოს კრედიტორები.

მიზანშეწონილი იქნებოდა ისეთი წესის შემოღება, რომლითაც დივიდენდების გადახდის უფლებამოსილება მიენიჭება დირექტორთა საბჭოს ან აქციონერებს (იხ. 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 57-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ზოგ ქვეყანაში დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ექსკლუზიური უფლებამოსილება დირექტორთა საბჭოს ეკუთვნის, ხოლო აქციონერთა თანხმობა საჭირო არ არის და მათ არც უფლება არა აქვთ, მოსთხოვონ კომპანიას დივიდენდების გადახდა. სხვა ქვეყნებში კი აქციონერები დივიდენდების გადახდის საკითხს ამტკიცებენ წლიურ კრებაზე, თუმცა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დირექტორთა საბჭოსაც შეიძლება ჰქონდეს დროებითი დივიდენდების გაცემის უფლება წინა წლის მოგებიდან ან „ავანსად“ შემდეგი დივიდენდების დამტკიცებამდე. ამასთან, უნდა განისაზღვროს ის საფუძვლები, რომელზე დაყრდნობითაც დირექტორთა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების გადახდის ან არ გადახდის შესახებ. ამ კონტექსტში მიზანშეწონილია განისაზღვროს წესი, რომლის თანახმადაც აქციონერებს, კომპანიის მიერ დივიდენდების გაცემაზე გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, მიენიჭებათ წლიური დივიდენდების ოდენობის განსაზღვრის უფლება, მიუხედავად იმ რისკისა, რომ აქციონერები მოინდომებენ დივიდენდების უფრო დიდი ოდენობის დადგენას, ვიდრე კომპანიას შეუძლია გადაიხადოს.

მენარმეთა შესახებ კანონის დებულებებისაგან განსხვავებით, მეორე დირექტივის თანახმად, აქციონერებზე არ შეიძლება განაწილდეს დივიდენდები, თუ ბოლო ფინანსური წლის დახურვის თარიღისათვის კომპანიის წლიურ ანგარიშში დაფიქსირებული წმინდა აქტივების ღირებულება ხელმოწერილ კაპიტალს მიმატებული ხელუხლებელ რეზერვებზე (რომელთა განაწილება არ შეიძლება კანონისა და წესდების შესაბამისად) ნაკლებია, ან დივიდენდების განაწილების შემთხვევაში აღმოჩნდება მასზე ნაკლები. თუ დივიდენდები მაინც გაიცა, აქციონერმა უკან უნდა დააბრუნოს მასზე გაცემული დივიდენდები. დირექტივაში მოცემულია ხელმოწერილი კაპიტალის მნიშვნელოვანი დანაკარგის დეფინიცია, რომლის დროსაც საჭიროა საერთო კრების მოწვევა, სადაც გადაწყდება კომპანიის ლიკვიდაციის ან მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვა ღონისძიებების გატარების საკითხი. დირექტივა ასევე ითვალისწინებს აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლებებს, როდესაც კომპანია ახალი აქციების გამოშვებას აპირებს.

კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც საქართველოს კანონი არ არეგულირებს, არის ბალანსის დადგენა აქციონერებზე დივიდენდების განაწილებასა და კომპანიის მოგებებსა და აქტივებს შორის. საქართველოს კანონისაგან განსხვავებით, აღნიშნული დირექტივის დებულებების მიხედვით, თუ კომპანიას არ მიუღია მოგება, ან მისი აქტივები ხელმოწერილ კაპიტალსა და რეზერვებზე ნაკლებია, დივიდენდების გადახდა არ უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადახდა უნდა განხორციელდეს კომპანიის ხელმოწერილი კაპიტალისა და რეზერვების ხარჯზე, რაც გამოიწვევს მათ შემცირებას და უარყოფითად იმოქმედებს კრედიტორების წინაშე კომპანიის გადახდისუნარიანობაზე, ვინაიდან ეს აქტივები სესხის უზრუნველყოფას ემსახურება.

დირექტივით მონესრიგებულ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიათა აქციონერების ინტერესების დაცვას ემსახურება, და რომლის

სტატიები

ასახვაც მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში მიზანშეწონილია, ხელმოწერილი კაპიტალის შეცვლას უკავშირდება. ხელმოწერილი კაპიტალის გაზრდა ან შემცირება გავლენას ახდენს აქციონერთა ინტერესებზე, ვინაიდან იგი შესაბამისად იწვევს მათი ქონების გაზრდას ან შემცირებას და კომპანიის ხელმძღვანელობაში მათი მდგომარეობის შესუსტებას ან, პირიქით, გაძლიერებას. ხელმოწერილი კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში კომპანიაზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით, აქციონერებს ენიჭებათ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება კაპიტალში არსებული მათი წილის პროპორციულად. რაც შეეხება ხელმოწერილი კაპიტალის შემცირების საკითხს, ვინაიდან იგი ეჭვის ქვეშ აყენებს კომპანიის მიერ ვალდებულებების გასტუმრების შესაძლებლობას, ხელმოწერილი კაპიტალის შემცირება დასაშვებია მხოლოდ კრედიტორთა მოთხოვნების სათანადო უზრუნველყოფის შემთხვევაში.

სამენარმეო მეორე დირექტივა ითვალისწინებს კომპანიის მიერ თავისი აქციების შესყიდვის უფლების შეზღუდვას. ამ დებულების არსი ისაა, რომ კომპანიის მენეჯმენტი შეიძლება დაინტერესებული იყოს აქციების ფასის ხელოვნური შემცირებით, მაგალითად, შემდგომში მათი შესყიდვისა და კომპანიაზე კონტროლის მოპოვების მიზნით. კომპანიის მიერ აქციების შესყიდვაზე საერთო კრების თანხმობის, მასზე 10%-იანი ლიმიტისა და მათი არა უმეტეს სამი წლის ვადაში განკარგვის მოთხოვნის დაწესება მიზნად ისახავს აქციონერთა დაცვას მათი აქციების ხელოვნური გაუფასურებისაგან და ასევე კომპანიის შიგნით პოზიციათა არასასურველი გადანაწილებისაგან. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონი ითვალისწინებს საზოგადოების მიერ აქციების შეფასებისა და გამოსყიდვის უფლებებს, იმ შემთხვევაში, როცა საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას, მაგალითად, კაპიტალის გაზრდის თაობაზე, რაც ლახავს იმ აქციონერთა ინტერესებს, რომლებმაც გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში აქციების შესყიდვის უფლება შეიძლება მისი ბოროტად გამოყენების საგნად იქცეს. ამდენად, შესაძლებელია, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიზანშეწონილი იყოს აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და აქციების შესყიდვის უფლებების აკრძალვა, რაც საქართველოს კანონით დაშვებულია (იხ. 59-ე მუხლის მე-4 პუნქტი და ასევე 52-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

მეორე დირექტივით აგრეთვე მოწესრიგებულია რიგი საკითხებისა, რომლებსაც საქართველოს კანონი არ არეგულირებს. კერძოდ, დირექტივის თანახმად, ხელმოწერილი კაპიტალის სერიოზული დანაკარგის შემთხვევაში სავალდებულოა აქციონერთა საერთო კრების მოწვევა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, რომელზეც უნდა გადაწყდეს კომპანიის ლიკვიდაციის ან სხვა ღონისძიებების განხორციელების საკითხი. აკრძალულია კომპანიის სანესდებო კაპიტალის იმდაგვარი გაზრდა (აქციების გამოშვების ან არსებული აქციების ნომინალური ღირებულების გაზრდით), რომ მან წმინდა აქტივების ოდენობას გადააჭარბოს. აგრეთვე, აქციების ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღვროს საზოგადოების წესდებით.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სააქციო საზოგადოების მარეგულირებელი წესები თანამედროვე სტანდარტების დონეზეა, თუმცა ზოგიერთი ევროპული სტანდარტის შემოტანა კიდევ უფრო გაზრდიდა ბიზნესგარიგებების გამჭვირვალობისა და უსაფრთხოების დონეს და, შესაბამისად, ხელს შეუწყობდა საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას.

ზ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) არის კაპიტალური საზოგადოება, იურიდიული პირი და, შესაბამისად, დამოუკიდებელი თავისი წევრებისაგან, რომელიც კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს დამოუკიდებლად მთელი თავისი ქონებით. შპს-ის პარტნიორთა წრე შედარებით უფრო ვიწრო და ნაკლებად ცვალებადია. პარტნიორს შეუძლია,

სტატისტიკა

წილი მემკვიდრეობით გადასცეს ან გაასხვისოს, რისთვისაც საჭიროა სანოტარო წესით დამონება (45-ე მუხლი). შპს-ის წილი არ არის ფასიანი ქალაქი. ამის გამო შპს არ დაიშვება საფონდო ბირჟაზე. წილის გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა პარტნიორთა თანხმობაზე.

შპს-ის დაფუძნებისას ხორციელდება წესდების ხელმოწერა, საწესდებო კაპიტალის ნაწილის შევსება, ხელმძღვანელობის დანიშვნა, სამენარმეო რეესტრში განაცხადის შეტანა და ბოლოს რეგისტრაცია. პარტნიორთა მინიმალური შესატანი ჯამში სულ მცირე 2000 ლარს უნდა შეადგენდეს. საწესდებო კაპიტალი, როგორც წესი, ფულადი სახით იქმნება. თუმცა დაშვებულია შესატანი არაფულადი ფორმითაც. ასეთ ობიექტს უნდა ჰქონდეს კონკრეტული ქონებრივი ღირებულება და იყოს შპს-ის მიერ თავისუფლად განკარგვადი. თუ შესატანი განსაზღვრულია ფულადი სახით, მაგრამ სინამდვილეში არაფულადი ფორმითაა განხორციელებული, საზოგადოებას უფლება აქვს, კიდევ ერთხელ მოითხოვოს მისი შეტანა. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როდესაც საზოგადოება გადახდისუნარიო ხდება, ვინაიდან არასწორი შესატანის დაბრუნების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ გადახდისუნარიანობის კვლევის ფარგლებში, მაშინ როდესაც არაფულადი შესატანი ჯერ კიდევ შესატანია.

შპს-ის მმართველობის სავალდებულო ორგანოებია დირექტორატი და პარტნიორთა კრება. სავალდებულო არ არის, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ პარტნიორები. საზოგადოებას წარმოადგენენ დირექტორები, მათი წარმომადგენლობის უფლება შეზღუდვადია და არც შეიძლება გახდეს შეზღუდვის საგანი. საზოგადოების შიგნით მათი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით. შესაბამისად, წარმომადგენლობის უფლების შეზღუდვა ანალოგიურია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა. პარტნიორებს უფლება აქვთ, მითითებები მისცენ ხელმძღვანელობას. საკუთრებისა და კონტროლის უფლებების მკაცრი გამიჯვნა, როგორც ეს მოცემულია სააქციო საზოგადოებების მარეგულირებელ წესებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არ არის. 48-ე მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო შეიძლება შეიქმნას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაშიც, მაგრამ მის მიმართ გამოიყენება სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მომწესრიგებელი ნორმები. ასეთი საბჭოს შექმნა სავალდებულოა იმ შპს-ებში, სადაც სახელმწიფოს წილი საწესდებო კაპიტალში 50%-ზე მეტია, ამავდროულად საწესდებო კაპიტალის ოდენობა აღემატება 30000 ლარს და თანხების წლიური ბრუნვა – 100000 ლარს.

შპს შეიძლება დაფუძნდეს ერთი პირის მიერ. თუ პარტნიორი იმავდროულად საზოგადოების დირექტორიცაა, მაშინ გამოიყენება საკუთარ თავთან გარიგების დადების ამკრძალავი ნორმა. ასეთი შეზღუდვისაგან იგი შეიძლება გათავისუფლდეს საზოგადოების წესდებით. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, 1989 წლის 21 დეკემბრის №89/667 მეთორმეტე დირექტივა ერთი პირის მიერ დაფუძნებული კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ განსაზღვრავს კონკრეტულ ნორმებს. თუ საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, აღნიშნული ფაქტი უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესით. დამფუძნებელი პარტნიორი ახორციელებს საზოგადოების საერთო კრების უფლებამოსილებებს. დირექტივით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით პარტნიორის გადაწყვეტილებები უნდა დაფიქსირდეს წერილობით ოქმში. პარტნიორსა და მის კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულება უნდა დაფიქსირდეს ოქმში ან შედგენილ იქნეს წერილობითი ფორმით. დირექტივის დებულებები ასევე გამოიყენება იმ საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის მიმართ, რომელსაც ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი ჰყავს. საქართველოს კანონი ცალსახად უშვებს ერთი პირის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნას, მაგრამ არ ითვალისწინებს შემდგომ სპეციალურ ნორმებს.

თ. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ თანამედროვე დონის დოკუმენტია, რომელიც იზიარებს კონტინენტური ევროპის ქვეყნების, მათ შორის გერმანული სამართლის ტრადიციებს. იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც კანონი, რომელმაც ევროპულ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობისაკენ ნახევარი გზა უკვე განვლო. მისი მიღებიდან თითქმის 10 წლის შემდეგ დადგა კანონების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების დრო, რაც დაიცავს მცირე აქციონერების, კრედიტორებისა და სხვა საქმიანი პარტნიორების ინტერესებს, შეამცირებს გარიგების ხარჯებს და საბოლოო ჯამში აამაღლებს საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანობას. კანონის დახვეწის პროცესში მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ მას თან არ ახლავს მდიდარი სასამართლო პრაქტიკა ან ანალიტიკური კვლევები, რაც მნიშვნელოვანია კანონის მარეგულირებელი ძალის სრულად წარმოჩენისათვის. ამასთან, წინამდებარე სტატიაში შემოთავაზებული რეკომენდაციები და წინადადებები ეხება არა მხოლოდ კანონშემოქმედო, არამედ მათ, ვინც უნდა მოახდინოს კანონის ადეკვატური განმარტება პრაქტიკაში, რომელიც ხშირად კანონის ტექსტის სიტყვასიტყვითი აღქმის მიღმა ძევს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკის, კერძოდ ევროპული კავშირის, გამოცდილების გადმოტანა, ყველა შემთხვევაში უნდა დაექვემდებაროს საქართველოს ბაზრის ადგილობრივ პირობებთან მის მორგებას, რათა მოხდეს თანამედროვე სამართლის ტრადიციების გაზიარების საუკეთესო გზის შერჩევა, რაც ჰარმონიაში იქნება სამართლის მთელ სისტემასთან.